პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტური განათლება

5 ნოემბერი 1937 წ. № 103 (403) ფასი 10 კაპ.

სსრ განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის განათლების განყოფილების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და უმაღლესი სკოლებისა და სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ორგანო

## სამართლიანი განაჩენი

ქ. სოხუმში დამთავრდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შინსახკომის მიერ გამომჟღავნებულ და ლიკვიდირებულ კონტრრევოლუციურ-დივერსიულ-მავნებლურ, ტერორისტულ-საააჯანყებო ჯაშუშურ ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი. საქართველოს მასწავლებლობა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელებთან ერთად უდიდეს აღშფოთებასა და სიძულვილს გამოსთქვამს სამშობლოსა და ხალხის საზიზღარ მტრებთა: მ. ი. ჩალმაზის, მ. ა. ლაკობას, კ. პ. ინა-ლიპას, ვ. ქ. ლადარიას, ვ. დ. ლაკობას, დ. ი. ჯერღენიას, ა. ფ. ენგელოვის, პ. ა. სეისიანის, ს. ს. თურქიას, მ. ი. ქიშმარიას, ს. ე. ებჟნოუს, ს. პ. ჩანბას და კ. დ. აჩუბას მიმართ.

საბრალდებო დასკვნამ და პროცესმა მოგვცა ნათელი სურათი იმ შავბნელ, გამცემლურ მუშაობისა, რომელსაც ეწეოდნენ კონტრრევოლუციური გარეწრები. როგორც საბრალდებო დასკვნაში იყო აღნიშნული და ეს სრულიად დადასტურდა პროცესზე, „ეს კონტრრევოლუციური ორგანიზაცია მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, აფხაზეთის ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან, კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენას და აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას „ერთერთი უცხო სახელმწიფოს პროტექტორატით“.

ხალხის გაცოფებული მტრები ამ ამოცანის განხორციელებისათვის არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ: ეწეოდნენ დივერსიულ-მავნებლურ მუშაობას აფხაზეთის სახალხო მეურნეობაში, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩვენს სამშობლოზე კაპიტალისტური სახელმწიფოების თავდასხმის მომენტისთვის, ეწეოდნენ ჯაშუშურ-სადაზვერვო მუშაობას ერთერთი ფაშისტური სახელმწიფოს სასარგებლოდ და სხვ.

ბანდიტურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა საზიზღარი ნესტორ ლაკობა, რომელიც დაკავშირებული იყო მშრომელთა უსაზიზღრეს მტერთან — იუდა ტროცკისთან. მკვლელთა ეს ხროვა ცოფს ჰყრიდა პარტიისა და მთავრობის მიმართ, ყველა იმ მიღწევათა მიმართ, რაც სოციალისტურ სამშობლომ მოიპოვა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად ერთერთი უდიდესი მიღწევა სსრკ-ში და კერძოდ აფხაზეთის ასსრ-ში არის კოლმეურნეობის ზრდა-განვითარება. მტრებმა თავისი იერიში მასზე მიიტანეს — ისინი ცდილობდნენ, ყოველნაირად დაეშალათ კოლმეურნეობები, შეერყიათ მათი ეკონომიური სიძლიერე, ჰქმნიდნენ ხელოვნურად უკმაყოფილებას მშრომელთა მასებში, რომ ამით სახელი გაეტეხათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. პროცესი აღმაშფოთებელ ფაქტებს გვაძლევს ამ მხრივ. გარეწარი ნ. ლაკობა ქმნიდა ცრუკოლმეურნეობებს, ამხედრებდა გლეხობას კოლმეურნეობათა წინააღმდეგ. კოლმეურნეებს აძლევდა გაზვიადებულ საწარმოო გეგმებს, რომელთა შესრულება შეუძლებელი იყო. განსაკუთრებულ პირობებს უქმნიდა ერთპიროვნულ მეურნეობებს და ამ გზით ქმნიდა აფხაზეთის სოფლებში ანტისაკოლმეურნეო განწყობილებას. ხალხის მტრები ხელს უშლიდნენ ძვირფასი კულტურების, როგორიც არის ჩაი, თამბაქო, დანერგვას აფხაზეთში, სოფლის მეურნეობის მექანიზაციას. ამტკიცებდნენ, თითქოს „ტრაქტორი აფხაზეთს არ უნდა“.

მაგრამ ხალხის მტრები არამარტო სოფლის მეურნეობაში ეწეოდნენ მავნებლურ მუშაობას. მრეწველობის დარგში ამცირებდნენ ახალ წარმოებათა მშენებლობის გეგმებს: ტყვარჩელშახტსა და ბზიბშახტზე ისე აწყობდნენ საქმეს, რომ მშენებლობა გაეძვირებინათ. ცდილობდნენ მუშების დარბევას, შლიდნენ მუშათა მომარაგების საქმეს. იმის გამო, რომ მავნებლები ყოველნაირად ცდილობდნენ ელექტროფიკაციის საქმის ჩაშლას აფხაზეთში, სოხუმი დღესაც არ არის უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით.

კონტრრევოლუციური ორგანიზაცია დივერსიულ-მავნებლურ მუშაობასთან ერთად ამზადებდა ტერორისტულ აქტებს ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების საყვარელი ბელადებისა და ხელმძღვანელების მიმართ. ისინი ცდილობდნენ, ბინძური ხელი აღემართათ მსოფლიო პროლეტარიატის იმედის, რწმენის, ჩვენი საამაყო ცხოვრების შემქმნელის — ამხანაგ სტალინის და საუკეთესო სტალინელის, საქართველოში ბოლშევიკურ გამარჯვებათა ორგანიზატორის — ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიმართ. მაგრამ მოსტყუვდნენ. საბჭოთა ქვეყნის მშრომელები ნებას არავის მისცემენ, ბინძური ხელი შეახონ პარტიის ბელადებს, მთავრობის ხელმძღვანელებს და თითოეულ ასეთ უბოროტეს ცდას ძირშივე აღკვეთენ.

კონტრრევოლუციონერ ბანდიტების ხროვა აწყობდა შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა კავშირზე კაპიტალისტური ქვეყნების თავდასხმის შემთხვევაში, რათა მშვენიერი, მზიანი აფხაზეთი ჩამოეგლიჯათ დიდი საბჭოთა ქვეყნისაგან და ბედნიერი და თავისუფალი აფხაზი ხალხისათვის დაედგათ კაპიტალიზმის მონობის უღელი.

მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ძლევამოსილ წინსვლას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს, მტრები საბოლოოდ განადგურდებიან!

საბჭოთა საქართველოს მასწავლებლობა მთელი ჩვენი დიდი ქვეყნის მშრომელებთან ერთად ერთსულოვნად იწონებს უზენაესი სასამართლოს განაჩენს და მიესალმება ხალხის გაცოფებული მტრების ფიზიკურად განადგურებას, მათ აღგვას მიწის პირიდან.

საქართველოს მასწავლებლობა, მთელი ქვეყნის მშრომელებთან ერთად, კიდევ უფრო გააძლიერებს რევოლუციურ-შემტევ სიფხიზლეს და შეუპოვრად იბრძოლებს ბოლშევიზმის დაუფლებისათვის, რათა დროულად გამოამჟღავნოს ყველა ჯურის მტერი, რა ფირმითაც არ უნდა იყოს ის შენიღბული.

სტალინური ზრუნვით გამთბარი საქართველოს პედაგოგები უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან დიდი ლენინურ-სტალინური პარტიის დროშის ქვეშ, საყვარელი ბელადის, მშრომელი კაცობრიობის მამისა და მასწავლებლის, დიდი სტალინის ირგვლივ; თავდადებით იბრძოლებენ ახალი თაობის კომუნიზმის პრინციპზე აღზრდის საქმის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის და აღზრდიან საბჭოთა პატრიოტიზმით ანთებულ ისეთ თაობას, რომლისათვისაც სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება სიცოცხლეზე ძვირფასი იქნება.

## მგწ მეთაურთა-პოლიტმუშაკთა ინჟინერთა და ტექნიკოსთა დაჯილდოება

**მოსკოვი**, 3 ნოემბერი (საკდეს). სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1937 წლის 3 ნოემბრის დადგენილებით, მუშურ-გლეხური წითელი არმიის შენაერთების, ნაწილისა და ქვედანაყოფების საბრძოლო, პოლიტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის დაჯილდოებული არიან:

**ლენინის ორდენით** — პოლკოვნიკი ფ. კ. **არჟენუხინი**, უფროსი ლეიტენანტი ვ. ვ. **დავიდოვ ლუჩიცკი**, უფროსი ლეიტენანტი ვ. ი. **ვერევკა**, ლეიტენანტი ვ. ს. **რეა**, ლეიტენანტი ს. ა. **კუზნეცოვი**.

**წითელი დროშის ორდენით სსრ კავშირის ცაკმა დააჯილდოვა** — პოლკოვნიკი ვ. ს. **ლევინსკი**, მეორე რანგის კაპიტანი ნ. ე. **ბასისტი**, პირველი რანგის სამხედრო ინჟინერი ბ. მ. **კორობკოვი**, მაიორი ე. ვ. **ტოიკი**, მაიორი ნ. ნ. **ნაგორნი** და სხვები. სულ 48 კაცი.

**წითელი ვარსკვლავის ორდენით სსრ კავშირის ცაკმა დააჯილდოვა** — პირველი რანგის სამხედრო ექიმი ლ. მ. **გოცი**, მესამე რანგის კაპიტანი ს. მ. **სერგეევი**, მესამე რანგის სამხედრო ინჟინერი ა. კ. **რეპინი** და სხვები. სულ 12 კაცი.

**საპატიო ნიშნის ორდენით** — დაჯილდოებულია სამი კაცი.

## პირველი მატარებელი

**მოსკოვი**, 3 ნოემბერი (საკდეს). 3 ნოემბერს საღამოს მეტროს პოკროვსკის რადიუსში გაიარა პირველმა საცდელმა მატარებელმა. ამუშავებისათვის მზადება დამთავრდა დღის 4 საათზე. სადგურების კედლები მორთულია ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით, ლოზუნგებით, პლაკატებით.

საღამოს 6 საათზე საკონტაქტო რელსში მიცემულ იქნა დენი. 25 წუთის შემდეგ გვირაბიდან გამოჩნდა პირველი მატარებელი. ორკესტრმა დაუკრა „ინტერნაციონალი“. „რევოლუციის მოედნის“ სადგურის პერონზე მყოფი მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები — სადგურის მშენებლები შეხვდნენ მატარებელს ერთსულოვანი ტაშით „ვაშას“ ძახილით, შეძახილებით „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“.

## წითელი არმიის მეთაურებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

**სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: საბჭოთა კავშირის თავდაცვის ძლიერების დარგში მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამ საქმეში გმირობის გამოჩენისათვის მიეკუთვნოს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება:

1. მაიორ ივანე ალექსის-ძე ლაკეევს
2. ლეიტენანტ აბრამ გრიგოლის-ძე აბრამოვიჩს.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი **ა. ანდრეევი.**

მოსკოვი, კრემლი. 1937 წლის 3 ნოემბერი.

○ ◇ ○

## სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

**სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარების შეღავათების შესახებ**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მთლიანად მოეხსნას როგორც საკოლმეურნეო კომლებს, ისე ერთპიროვნულ მეურნეობებს, სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარებათა ნარჩენები წინა წლებისა 1936 წლამდე ჩათვლით.

2. განთავისუფლებულ იქნას ყველა საკოლმეურნეო კომლი და ერთპიროვნული მეურნეობა სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარებისაგან ბერწ ძროხებზე.

3. ამას გარდა, 1938 წლის 1 იანვრიდან დაწესდეს ნაცვლად წინათ დაწესებული 10 პროცენტი დაკლებისა, ახალი დაკლება სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარების მხრივ იმ კოლმეურნეობათა კოლმეურნეებისათვის, რომლებსაც აქვთ საძეო-სასაქონლო ფერმები, ფერმაში მყოფ ძროხების რაოდენობის მიხედვით, სახელდობრ:

ა) იმ კოლმეურნეობათა კოლმეურნეებისათვის, რომლებსაც საძეო-სასაქონლო ფერმაში ჰყავთ 5-დან 15-მდე ძროხა, დაწესდეს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების მხრივ კოლმეურნეების პირად ვალდებულებებიდან დაკლება—20 პროცენტი;

ბ) იმ კოლმეურნეობათა კოლმეურნეებისათვის, რომლებსაც ფერმაში ჰყავთ 16-დან 20-მდე ძროხა, დაწესდეს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების მხრივ კოლმეურნეების პირად ვალდებულებებიდან დაკლება —30 პროცენტი;

გ) იმ კოლმეურნეობათა კოლმეურნეებისათვის, რომლებსაც ფერმაში ჰყავთ ·დან 50-მდე ძროხა, დაწესდეს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების მხრივ კოლმეურნეების პირად ვალდებულებებიდან დაკლება—50 პროცენტი;

დ) იმ კოლმეურნეობათა კოლმეურნეებისათვის, რომლებსაც ფერმაში ჰყავთ 50-ზე მეტი ძროხა, დაწესდეს სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების მხრივ კოლმეურნეების პირად ვალდებულებებიდან დაკლება—60 პროცენტი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე— **ვ. მოლოტოვი.**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი — **ნ. პეტრუნიჩევი.**

მოსკოვი, კრემლი. 1937 წლის 2 ნოემბერი.

ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის აღსანიშნავად ა. წ. 6 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის ლენინის ორდენის სახელმწიფო საოპერო თეატრის შენობაში მოწვეულია **მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომა, პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.**

თბილისის საბჭოს პლენუმის წევრები, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრები, საქართველოს ცაკის წევრები და საქართველოს ალკკ ც. კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრები შედიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენები — მოსაწვევი ბილეთებით.

**თბილისის საბჭოსპრეზიდიუმი**

## მასწავლებლობა ყველა მშრომელთან ერთად ერთსულოვნად იწონებს სასამართლოს განაჩენს

გუშინ თბილისის სკოლებში ჩატარდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა კრებები, რომლებზედაც განხილული იქნა აფხაზეთის სასამართლოს სპეციალური საკრებულოს მიერ აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტულ-საააჯანყებო, ჯაშუშური ორგანიზაციის წევრთათვის გამოტანილი განაჩენი.

მასწავლებელთა მასა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა განაჩენს.

— ეს არის სოციალისტური სამშობლოს მშრომელთა განაჩენი!

— დაე, იცოდნენ მტრებმა, რომ აღიგვება პირისაგან მიწისა ყველა ვინც შეეცდება, მოუსპოს მშრომელებს საამური და ბედნიერი ცხოვრება, ვინც ცდილობს ფეხქვეშ გათელოს დიდი ოქტომბრის მონაპოვარი, —აცხადებენ სიტყვებით გამოსული მასწავლებლები.

— მიღებულ რეზოლუციაში მასწავლებლები პირობას იძლევიან რომ მტრების საპასუხოდ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, უფრო გაამახვილებენ შემტევ-ბოლშევიკურ სიფხიზლეს და დაუნდობლად გამოამჟღავნებენ და გაანადგურებენ ყველა ჯურის მტრებს.

◆

აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა საკრებულომ დააკმაყოფილა ხალხის მოთხოვნა: ხალხის საზიზღარ მტრებს:—აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტულ-საააჯანყებო, ჯაშუშური ორგანიზაციის წევრებს: ვ. ქ. ლადარიას, მ. ლაკობას, ვ. ლაკობას, მ. ჩალმაზს და სხვებს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

განაჩენმა უდიდესი სიხარული კმაყოფილება გამოიწვია კიროვის სახ. საქ. ინდუსტრ. ინსტიტუტის ოთხიათასიანი კოლექტივის მიტინგზე.

მიტინგი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას აფხაზეთის ა.ს.ს.რ. უზენაესი სასამართლოს განაჩენის შესახებ. მიტინგზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა პროფ. მუხაძემ. შემდეგ სიტყვით გამოვიდა ფრიადოსანი სტუდენტი ამხ. ვ. კრასინი. „ჩვენი საქ. ინდ. ინსტიტუტის ოთხათასიანი კოლექტივი, — სთქვა კრასინმა, —უფრო მჭიდროდ დავირაზმებით კომუნისტური პარტიისა და დიდი სტალინის გარშემო. გამოვამჟღავნებთ ყველა ჯურის მტრებს. გავშიფრავთ მტრებს, როგორადაც არ უნდა შენიღბონ ისინი“.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ინსტიტუტის ოთხათასიანი კოლექტივი მხურვალედ მიესალმება აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს სამართლიან განაჩენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტულ-საჯანყებო, ჯაშუშური ორგანიზაციის პროცესი

### სასამართლოს 2 ნოემბრის სხდომის დღიური

2 ნოემბერს სასამართლოს დილის სხდომაზე 2-საათიანი სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი, აფხაზეთის ასსრ პროკურორი ამხ. შონია.

— ბრალდებულებმა, — განაცხადა თავის სიტყვაში სახელმწიფო ბრალმდებელმა — საშინელი დანაშაული ჩაიდინეს. მე მოვითხოვ პროლეტარული სასამართლოსაგან მიუსაჯოს ხალხის საზიზღარ, საძაგელ და ვერაგ მტრებს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

მქუხარე ტაშით, მოწონების შეძახილებით უპასუხეს სახელმწიფო ბრალმდებლის ამ მოთხოვნას საბჭოთა აფხაზეთის მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რომლებითაც გაჭედილი იყო სხდომის დარბაზი.

შემდეგ გამოდიან საზოგადოებრივი ბრალდების წარმომადგენლები— სოფელ დურიფშ ს კოლმეურნე ამხ. შ. საკანია და აფხაზეთის ასსრ განსახკომი ამხ. მ. დელბა, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ, რათა ყველა ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნას სასჯელის უმაღლესი ზომა.

ბრალდებულების ვ. ლაკობას, სეისიანის, ახუბას, ენგელოვის, ქიშმარიას, ებჟნოუს და ჩანბას დამცველნი, დამცველთა კოლეგიის წევრნი ამხ. ზუხბაი და ნადარეიშვილი, აღიარებენ რა მათი მარწმუნებლების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა მთელს სიმძიმეს, სთხოვენ სასამართლოს, თუ ის დაინახავს რაიმე შემამსუბუქებელ გარემოებებს, მიიღოს იგი მხედველობაში სასჯელის განსაზღვრის დროს.

დამცველთა სიტყვების შემდეგ სასამართლო უკანასკნელ სიტყვას აძლევს ბრალდებულთ.

უკანასკნელი სიტყვით პირველი გამოდის ბრალდებული ვ. ლადარია.

ბრალდებული აღიარებს მისთვის წაყენებულ ბრალდებებს, მაგრამ ისევე, როგორც სასამართლო გამოძიების დროს, ცდილობს უარჰყოს თავისი მონაწილეობა ტერორისტულ საქმიანობაში.

ბრალდებული მ. ლაკობა თავის უკანასკნელ სიტყვაში ამბობს:

— სახელმწიფო ბრალმდებელმა მოითხოვა ჩემთვის უაღრესად მკაცრი სასჯელი. მე ეს სასჯელი სავსებით დავიმსახურე. მაგრამ, თუ საბჭოთა სასამართლო შესაძლოდ დაინახავს, ვთხოვ შემინარჩუნოს სიცოცხლე.

ბრალდებული მ. ჩალმაზი თავის უკანასკნელ სიტყვაში აცხადებს:

— დიდია ჩემი დანაშაულობანი საბჭოთა ქვეყნის წინაშე, მშრომელთა წინაშე. მე ყველაზე სასტიკი სასჯელის ღირსი ვარ, როგორც ხალხის მტერი. მაგრამ მაინც ვბედავ ვთხოვო სასამართლოს მაჩუქოს სიცოცხლე, რათა შევძლო პატიოსანი შრომით ჩამოვირეცხო სამარცხვინო ლაქა.

ბრალდებული ინალ-იპა ამბობს:

— მე სავსებით ვაღიარებ ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულ ყველა ბრალდებას უმძიმეს დანაშაულობებში. სასამართლოს უაღრესად სასტიკ განაჩენს შევეგებები, როგორც დამსახურებულ სასჯელს ჩემ მიერ ჩადენილ დანაშაულისათვის.

ბრალდებული ვ. ლაკობა თავის უკანასკნელ სიტყვაში სავსებით აღიარებს თავს დამნაშავედ მისთვის წაყენებულ ბრალდებებში:

— ვთხოვ სასამართლოს, თუ იგი ამას შესაძლოდ დაინახავს, შემინარჩუნოს სიცოცხლე,—ამბობს ის.

ბრალდებული ენგელოვი ამბობს, რომ მას არაერთხელ უცდია დაეღწია თავი გამცემლობის ბინძური ქსელისათვის, რომელშიც ის გააბა პირწავარდნილმა ჯაშუშმა და გამცემელმა ნესტორ ლაკობამ.

მაგრამ მე,—ამბობს ის,—არ აღმომაჩნდა საკმაო ვაჟკაცობა ბოლომდე გამომემჟღავნებინა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია საბჭოთა ორგანოების წინაშე. მე მსურს გამოვისყიდო ჩემი დანაშაული ხალხის წინაშე და გთხოვთ მომცეთ ამის შესაძლებლობა.

ბრალდებული ჯირღენია თავის უკანასკნელ სიტყვაში ამბობს:

— მე სავსებით შევიგნე ჩემი დანაშაული, რომ აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. მაგრამ ვთხოვ სასამართლოს მიიღოს მხედველობაში ჩემი ახალგაზრდობა და შემინარჩუნოს სიცოცხლე.

ბრალდებული სეისიანი აცხადებს:

— მე დამნაშავე ვარ მავნებლობაში, რასაც ვეწეოდი ჩალმაზის მითითებით. მაგრამ მე არ ვყოფილვარ მთელი იმ საზიზღარი მუშაობის კურსში, რომელსაც აწარმოებდა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია. ვთხოვ სასამართლოს, თუ იგი დაინახავს შესაძლოდ შემინარჩუნოს სიცოცხლე.

ბრალდებული ახუბა, ებჟნოუ და ქიშმარია თავიანთ უკანასკნელ სიტყვაში სავსებით აღიარებენ თავიანთ დანაშაულს. ისინი სთხოვენ სასამართლოს შეუნარჩუნოს მათ სიცოცხლე.

ჩემი დანაშაულობანი მძიმეა,—ამბობს ბრალდებული თურქია. მე დავრწმუნდი იმაში, რომ კონტრრევოლუციური მენშევიკური იატაკქვეშეთი ჰპობს წარმოადგენს, მაგრამ მე მუდამ მენშევიკებთან ვმუშაობდი. თეთრ-ემიგრანტთა ქვაბში ვიხარშებოდი, ამიტომ ასე გვიან შევიგნე, რომ ვცდებოდი. მაგრამ მე გულწრფელად ვაღიარებ ჩემი დანაშაულობანი.

ბრალდებული სთხოვს სასამართლოს მხედველობაში მიიღოს ეს გარემოება და შეუნარჩუნოს მას სიცოცხლე.

2 ნოემბერს 18 საათსა და 30 წუთზე სასამართლო გადის სათათბიროდ.

## მთელი ხალხის განაჩენი

თბილისის 26 კომისარის სახელობის ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა 3 ნოემბერს ჯერ კიდევ დილიდანვე გაიგეს აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტულ-საჯანყებო ჯაშუშური ორგანიზაციის საქმეზე საბჭოთა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. მათ ამ რამდენიმე დღის წინათ სპეციალური დადგენილებითაც ითხოვეს მშრომელთა მოსისხლე მტრების უსასტიკესად დასჯა, კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ჯაშუშური ხროვის გასრესა, გაცამტვერება.

3 ნოემბრის გაზეთები, სადაც მოთავსებული იყო განაჩენი, ხელიდან ხელში გადადიოდა. სასამართლოს დადგენილებას უდიდესი სიხარულით ეცნობოდა თვითეული მუშა, ქარხნის მთელი კოლექტივი, განუწყვეტლივ ისმოდა მოწონების, კმაყოფილების გამომხატველი სიტყვები.

დღის 4 საათზე ქარხნის ეზოში გაიმართა მშრომელთა მიტინგი. კრებას ხსნის ქარხნის ორდენოსანი ხარატი. 43 წლის სტაჟიანი მუშა ამხ. ზაკომოლდინი. ისმინენ მოხსენებას, გამოსული ამხანაგების სიტყვებს.

— ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად იწონებს აფხაზეთის ასსრ უზენაესი სასამართლოს განაჩენს. ეს არის ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელთა და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის განაჩენი,— აცხადებენ ორატორები.

დაე, იცოდნენ ხალხის აქა-იქ კიდევ მიმალულმა მტრებმა, რომ რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებით მომავალშიაც დაუზოგავად გამოვამჟღავნებთ მოღალატეებს, გამცემლებს და მკაცრად დავსჯით მათ.

# განაჩენი

## აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა საკრებულომ

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ტარასი თეიმურაზის-ძე ანთიას თავმჯდომარეობით და წევრების ამხ. თეიმურაზ ჰიჰიკოს-ძე ბგანბას, კონსტანტინე ტრიფონის-ძე ქოიავას შემადგენლობით, ამხ. მიხეილ გაბრიელის-ძე წურწუმიას მდივნობით

სახელმწიფო ბრალმდებლის, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ვლადიმერ იაკობის-ძე შონიას, საზოგადოებრივი ბრალმდებლების ამხ. **მიხეილ კონსტანტინეს-ძე დელბას, შაიბ ჯიბირის-ძე საკანიას** და დამცველთა სოხუმის კოლექტივის წევრების ამხ. **გრიგოლ მათეს-ძე ზუხბაის და ერმოლოზ დიმიტრის-ძე ნადარეიშვილის** მონაწილეობით 1937 წლის 30 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე ქალაქ სოხუმში სასამართლოს ღია სხდომაზე განიხილა საქმე ბრალდებისა გამო:

1. ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე **ლადარიასი**, დაბადებული 1902 წელს ქ. სოხუმში, აფხაზი, უმაღლესი განათლებით, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1922 წლიდან, საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის ოლქკომის ყოფილი მდივანი, სსრ კავშირის მოქალაქე, ცოლშვილიანი, ყოფილი აზნაური.

2. მიხეილ ისლამის-ძე **ჩალმაზისა**, დაბადებული 1902 წელს, გუდაუთის რაიონის სოფელ ზვანდრიპშში, აფხაზი, სსრ კავშირის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, ცოლშვილიანი, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1921 წლიდან, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ყოფილი მიწსახკომი.

3. მიხეილ აპოლონის-ძე **ლაკობასი**, დაბადებული 1898 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, აფხაზი, სსრ კავშირის მოქალაქე, ცოლშვილიანი, დაბალი განათლებით. საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1918 წლიდან, „აბტაბაკის“ ყოფილი დირექტორი.

4. კონსტანტინე პლატონის-ძე **ინალ-იპასი**, დაბადებული 1895 წელს გაგრის რაიონის სოფელ კალდახვარაში, სსრ კავშირის მოქალაქე. ყოფილი თავადებიდან, საშუალო განათლებით, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1918 წლიდან, გაგრის საკურორტო სამმართველოს ყოფილი დირექტორი.

5. ვასილ დიმიტრის-ძე **ლაკობასი**, დაბადებული 1897 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, აფხაზი, სსრ კავშირის მოქალაქე, ცოლშვილიანი, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი, დაბალი განათლებით. „აზნეფტესბიტის“ აფხაზეთის განყოფილების ყოფილი მმართველი.

6. დიმიტრი იოსების-ძე **ჯერგენიასი**, დაბადებული 1902 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, აფხაზი, საშუალო განათლებით, სსრ კავშირის მოქალაქე, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1931 წლიდან. ცოლშვილიანი, გაგრის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, იაპატიმრების მომენტში—აფხაზეთის ხორცკომბინატის მმართველი.

7. ანასტასი ფეოფილაქტის-ძე **ენგელოვისა**, დაბადებული 1891 წელს წალკის რაიონის სოფელ ედიკელესაში, ბერძენი, სსრ კავშირის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, აფხაზეთის სამეურნეო ორგანიზაციათა ყოფილი წარმომადგენელი საქართველოში.

8. პავლე არუთინის-ძე **სეისიანისა**, დაბადებული 1904 წელს ქ. გაგრაში, სომეხი, საშუალო განათლებით, სსრ კავშირის მოქალაქე, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1926 წლიდან, გაგრის რაიაღმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილების ყოფილი გამგე.

9. სიმონ სტეფანეს-ძე **თურქიასი**, დაბადებული 1894 წელს, ქართველი, მოსამსახურე, კონტრრევოლუციური ნერ-მენშევიკთა არალეგალური ორგანიზაციის წევრი, ემიგრანტი, სსრ კავშირის მოქალაქე, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ცაკის ყოფილი საქმეთა მმართველი.

10. მახაიდ ისლამის-ძე **ქიშმარიასი**, დაბადებული 1899 წელს ოჩემჩირის რაიონის სოფელ ჩილოვში, აფხაზი, დაბალი განათლებით, სსრ კავშირის მოქალაქე, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1927 წლიდან, გარიცხული პარტიიდან 1935 წელს მემარჯვენე გადახრისათვის, ოჩემჩირის რაიონის ჩილოვის სოფლსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.

11. სეიდ ეჟიგის-ძე **ებჟნოუსი**, დაბადებული 1892 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ჯირხვაში, აფხაზი, ცოლშვილიანი, სსრ კავშირის მოქალაქე, უპარტიო, გუდაუთის რაიონის ჯირხვის სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „ხუდარას“ თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე.

12. ხიგუ პეტრეს-ძე **ჩანბასი**, დაბადებული 1887 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, ცოლშვილიანი, აფხაზი, სსრ კავშირის მოქალაქე, გუდაუთის რაიონის ლიხნის სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „აშიცრას“ ყოფილი თავმჯდომარე.

13. კემსის ჯირის-ძე **ახუბასი**, დაბადებული 1875 წელს ოჩემჩირის რაიონის სოფელ ჩილოვში, აფხაზი, ჩილოვის სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „აფსნი-კაპში“ ყოფილი წევრი, წინათ განუცდია რეპრესიები კონტრრევოლუციურ საქმიანობისათვის,—

დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $58^{1}$-ა, 19—$58^{2}$, $58^{7}$, 19—$58^{8}$, $58^{9}$ და $58^{11}$ მუხლებით.

წინასწარი გამოძიებისა და სამსჯავრო გამოძიების მასალებით დადასტურებულია, რომ აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ცაკის ყოფილი თავმჯდომარე (ამჟამად გარდაცვლილი) ნესტორ ლაკობა და ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ცალკეული წევრები და ხელმძღვანელი ზედაფენა მიხეილ ლაკობა, კონსტანტინე ინალ-იპა, ვლადიმერ ლადარია და სხვები ჯერ კიდევ 1923-1924 წლებიდან იმყოფებოდნენ ხალხის მტრის ლ. დ. ტროცკის გავლენის ქვეშ, რომელმაც აფხაზეთში ყოფნის დროს ზემოჩამოთვლილი პირები დაამუშავა ანტისაბჭოურად, კონტრრევოლუციურად. აღნიშნული დროიდან აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელს ნ. ლაკობას, მიხეილ ლაკობას, ვლადიმერ ლადარიას კავშირი ჰქონდათ გაძევებული ტროცკისთან უკანასკნელის სსრ კავშირიდან განდევნამდე, ღებულობდნენ რა მისგან სათანადო დავალებებს კონტრრევოლუციური ანტისაბჭოთა მუშაობის ხაზით.

არ ეთანხმებოდნენ რა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას, განსაკუთრებით საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში, და იდგნენ რა მემარჯვენე-ტროცკისტულ პოზიციებზე, გაშლილი სოციალისტური შეტევისა და საკოლმეურნეო მშენებლობისათვის ხელისშეშლის მიზნით, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ნ. ლაკობამ, მიხეილ ლაკობამ, ინალ-იპამ და ჩალმაზმა, სპეციალურად რწმუნებული პირების—კულაკების საშუალებით, 1931 წელს გუდაუთის რაიონში მოაწყეს კულაკების აჯანყება საბჭოთა ხელისუფლებისა და საკოლმეურნეო წყობილების წინააღმდეგ.

ამ დროისათვის (1931-32 წ. წ.) აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია ამყარებს კავშირს მემარჯვენე-„მომემარცხენო“ ბლოკის ორგანიზატორთან ბ. ლომინაძესთან, შემდეგში კი მისი საშუალებით ეგრეთწოდებულ მოსკოვის პარალელურ ტროცკისტულ ცენტრთან ამჟამად დახვრეტილ პიატაკოვის, სერებრიაკოვის, ლივშიცისა და სხვათა სახით.

ამავე დროს აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნ. ლაკობა ამყარებს კავშირს მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ქართულ ცენტრთან გერმანე მგალობლიშვილის, შალვა მათიკაშვილის, პავლე მელაძის, სევა კუხალეიშვილის საშუალებით.

მიიღო რა თითქმის ერთდროულად სათანადო, ანალოგიური დავალებანი ორივე კონტრრევოლუციური ცენტრისაგან (ტროცკისტული პარალელური ცენტრისა და მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ცენტრისაგან), აფხაზეთის კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ 1933—1934 წ. წ. გაშალა ყველაზე უფრო ინტენსიური მუშაობა: ახალი წევრების გადაბირება, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა, უმთავრესად კოლმეურნეობებსა და აფხაზეთის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში დივერსიულ-მავნებლური მუშაობის ხაზით, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადება, საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოწყობა.

აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია მიზნად ისახავდა, შეიარაღებული აჯანყების მოწყობით, ტერორისტული აქტების გამოყენებით საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, მავნებლური აქტების მოწყობით სახალხო მეურნეობაში, განსაკუთრებით კოლმეურნეობებში, და მშრომელებში უკმაყოფილების ხელოვნურად შექმნით საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ—საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აფხაზეთში, მის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან, კაპიტალიზმის რესტავრაციას და „აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ შექმნას უცხოეთის ერთი სახელმწიფოს პროტექტორატით.

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

# განაჩენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრებმა, ბრალდებულებმა: ვ. ლადარიამ—საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილმა მდივანმა, მ. ჩალმაზმა—აფხაზეთის ასსრ ყოფილმა მიწსახკომმა, მ. ლაკობამ—„აბტაბაკის" ყოფილმა მმართველმა, კ. ინალ-იპამ—გაგრის საკურორტო სამმართველოს ყოფილმა დირექტორმა, დ. ჯერგენიამ—გაგრის რაიაღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ, პ. სეისიანმა—გაგრის რაიაღმასკომის რაიმიწგანის ყოფილმა გამგემ, ვ. ლაკობამ—„აზნეფტესბიტის" აფხაზეთის განყოფილების ყოფილმა მმართველმა, ამ ამოცანის განხორციელების მიზნით, იმყოფებოდნენ რა პასუხსაგებ პოსტებზე, გამოიყენეს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა და თვითონ უშუალოდ, აგრეთვე სპეციალურად გადაბირებულ პირთა საშუალებით, ეწეოდნენ კონტრრევოლუციურ, ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას აფხაზეთის სახალხო მეურნეობაში, უმთავრესად საკოლმეურნეო მშენებლობის ხაზით.

კოლმეურნეობათა დაშლისა და კოლმეურნეებს შორის ხელოვნური უკმაყოფილების შექმნის მიზნით ზემოთდასახელებული ბრალდებულები, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელები, მათ მიერ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში სხვადასხვა დროს ჩაბმულ პირთა: ს. ებუნოუს, ხ. ჩანბას, კ. ახუბას, მ. ქიშმარიას და სხვათა საშუალებით ეწეოდნენ კოლმეურნეობებში ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას.

ბრალდებულმა ჩალმაზმა მავნებლურ კონტრრევოლუციურ მუშაობაში ჩააბა მიწსახკომის მუშაკთა თითქმის მთელი ხელმძღვანელი შემადგენლობა: სამმართველოს უფროსი, აგრონომები, გაგრისა და სოხუმის რაიაღმასკომების სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეები.

აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ძირგამომთხრელი მავნებლური საქმიანობა, რაც ხორციელდებოდა ბრალდებულების ჩალმაზისა და მ. ლაკობას საშუალებით, გამოიხატა იმით, რომ მავნებლურად ეწეოდნენ დაგეგმვას და დავალებათა განაწილებას თამბაქოს და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარგში, რომელთა ხაზითაც ინდივიდუალურ კულაკურ მეურნეობებისათვის დავალებათა შემცირების ხარჯზე, განზრახ ტვირთავდნენ კოლმეურნეობებს ისეთი დავალებებით, რის შესრულებაც მათ ძალღონეს აღემატებოდა.

1936 წელს მ. ლაკობამ სპეციალურად გადაბირებული პირების: ი. აკოპოვის, ტ. არქისიანის, ვ. ფილიას და სხვათა საშუალებით არასწორი დახარისხების, მავნებლური შენახვის, არადროული ფერმენტაციის, სოხუმის მეორე საფერმენტაციო ქარხნის ამუშავების განზრახ გაჭიანურების გზით მიაღწია დაახლოებით 150 ათასი მანეთის თამბაქოს გაფუჭებას სოხუმის რაიონში.

მ. ლაკობას და მ. ჩალმაზის დავალებით ოჩემჩირის საფერმენტაციო ქარხანაში და საწყობებში 1936 წელს გაფუჭებულ იქნა ექვს ტონამდე თამბაქო. გარდა ამისა, მავნებლობა თამბაქოს კულტურის დარგში ხორციელდებოდა იმ გზით, რომ კოლმეურნეობებსა და ცალკეულ პლანტატორებს ამარაგებდნენ „დიპკულის" არა წმინდა ჯიშის თესლით, ნაცვლად „სამსუნისა" და „ტრაპიზონისა", რასაც მოჰყვა თამბაქოს ხარისხის გაუარესება.

კოლმეურნეობათა ეკონომიური მლიერებისათვის ძირგამოთხრისა და კოლმეურნეთა შორის უკმაყოფილების გამოწვევის მიზნით, კოლმეურნეთა მიერ ჩაბარებული თამბაქოს ხარისხიანობას ხელოვნურად ამცირებდნენ იმ თამბაქოს ხარისხიანობის გადიდების ხარჯზე, რასაც ღებულობდნენ კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებისაგან, რომლებსაც უპყრობდა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია აფხაზეთში, ჰქმნიდა რა მათთვის პრივილეგიურ მდგომარეობას თავისი მავნებლური ღონისძიებებით.

ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების დარგში მავნებლური, ძირგამომთხრელი მუშაობა ტარდებოდა აგროტექნიკური წესების განზრახ უგულებელყოფის ხაზით: ჩაის პლანტაციების არადროულად გამარგვლის, ციტრუსოვანი კულტურების ცუდად მოვლისა და მყნობის გზით.

აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები მავნებლურ მუშაობას ეწეოდნენ მრეწველობისა და ვაჭრობის დარგში. ქვეყნის ეკონომიური სიმძლავრისათვის ძირის გამოთხრის მიზნით, უდიდესი სახელმწიფო სახსრები იხარჯებოდა არარეალურ, ეკონომიურად დაუსაბუთებელ ობიექტებზე.

ბზიბკომბინატის მშენებლობაზე, რომელიც შემდეგში ეკონომიურად დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი და ლიკვიდირებულ იქნა, დაიხარჯა 16 მილიონამდე მანეთი.

განზრახ, მავნებლური მიზნით, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრის ჯიხ-ოღლის მეშვეობით, რამდენიმე წლის განმავლობაში ჭიანურდებოდა, პიატაკოვისა და ნ. ლაკობას დავალებით, სოხუმჰესის მშენებლობა.

ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას ტყვარჩელქვანახშირში აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია და ინჟინერ-მავნებელთა ჯგუფი (ფინკელშტეინი, მოკრინსკი, დანჩიჩი და სხვები) აწარმოებდნენ ეგრედწოდებული პარალელური ტროცკისტული ცენტრის ხელმძღვანელის, ამჟამად დახვრეტილი პიატაკოვის პირდაპირი დავალებით. ტყვარჩელქვანახშირის წოლხვრელის ნაწილი გაყვანილ იქნა ქვანახშირის ძირითადი საბადოებისაგან ძლიერ დაშორებით ფუჭ ქანში, რამაც გამოიწვია ქვანახშირის ამოღების დაწყების დაყოვნება და მნიშვნელოვანი სახსრების დახარჯვა დამატებითი სამუშაოებისათვის. აფხაზეთის კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ მთავარი ინჟინრის ფინკელშტეინისა და ტყვარჩელქვანახშირის უფროსის, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრის ვ. ლადარიას მეშვეობით წოლხვრელში მსხვილი ბიგების წვრილი ბიგებით შეცვლის გზით, მოაწყო ავარიები, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.

ადგილობრივ მრეწველობაში მავნებლობა ტარდებოდა მერქნის ძვირფასი ჯიშების—კაკლის, ბზისა და სხვათა ექსპორტგეგმის ჩაშლის ხაზით, რასაც კონტრრევოლუციური ორგანიზაცია ახორციელებდა აფხაზეთის სატყეო ტრესტის დირექტორის, ბრალდებულ კონსტანტინე ინალ-იპას მეშვეობით.

სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის ხაზით მავნებლობა ხორციელდებოდა აფხაზეთის სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლის საქართველოში, ბრალდებულ ენგელოვის მეშვეობით, აგრეთვე კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრის, აფხაზვაჭრობის ყოფილი დირექტორის ვ. ზვანბაიას მეშვეობით. ენგელოვისა და ზვანბაიას კონტრრევოლუციური მავნებლური საქმიანობის შედეგად ადგილი ჰქონდა საქონელბრუნვის შემცირებას აფხაზეთში, მოვაჭრე ორგანიზაციების ფინანსიური მდგომარეობის გაუარესებას, მშენებელი ორგანიზაციების საშენი მასალის მომარაგების გეგმის დარღვევას.

აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები კოლმეურნეობათა დაშლისა და კოლმეურნეებს შორის უკმაყოფილების შექმნის მიზნით, ცალკეულ კოლმეურნეობებში (გუდაუთის რაიონის კულანურხვის სოფლსაბჭო ვოროშილოვის სახელობის, სტალინის სახელობის, ადირა-ახუს კოლმეურნეობებში, ჯარხვის სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „ხუდარაში", ლიხ-

## გაგრძელება

ნის სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „აშიცრაში" და აძლა-გორახუკის კოლმეურნეობაში, გაგრის რაიონის კალდახვარის სოფლსაბჭოს აფისტას, აბგატვარდას, ბზიბის, აკვარას კოლმეურნეობებში, ოჩემჩირის რაიონის ჩილოუს სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „აფსნი-კაპში", ვოროშილოვის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში) ჰქმნიდნენ ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ჯგუფებს უკმაყოფილოებისა, ანტისაბჭოთა პირებისა, ყოფილი კულაკებისა, პარტიიდან გარიცხულებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა ელემენტებისაგან, რომელთა საშუალებით ეწეოდნენ მავნებლურ, ძირგამომთხრელ დეზორგანიზატორულ მუშაობას კოლმეურნეობებში. ბრალდებულები: კ. ახუბა და მახაიდ ქიშმარია ოჩემჩირის რაიონის ჩილოუს სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „აფსნი-კაპში", კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით, ეწეოდნენ მავნებლობას თამბაქოსათვის უვარგისი მიწის ფართობის შერჩევით, ზერელე მოხვნით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების არადროული გამარგვლითა და გათოხვნით, თამბაქოს ნერგის გაფუჭებით, დარგვის დროს თამბაქოს ნერგისა და ფესვების სუსტად დამაგრებით და სხვ.

ჯარხვის სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „ხუდარაში" ბრალდებულმა ე. ებუნოუმ მ. ლაკობას დავალებით, მის მიერ მოწყობილი კონტრრევოლუციური მავნებლური ჯგუფების საშუალებით, მიაღწია იმას, რომ მოსავლის აღების ჩაშლის გზით, დაიღუპა ყურძენი 50 ჰექტარ ფართობზე და თამბაქო 13 ჰექტარ ფართობზე და გაფუჭდა თამბაქოს ნერგი.

გარდა ამისა, ბრალდებულმა ებუნოუმ კონტრრევოლუციური მიზნით გაანიავა 8 ათასი მანეთის საკოლმეურნეო ქონება. კოლმეურნეებს შორის უკმაყოფილების შექმნის მიზნით განზრახ ატარებდა დაჯარიმების არასწორ პოლიტიკას.

აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია მხარს უჭერდა ყოფილ აზნაურებს და თავადებს, კულაკებსა და ანტისაბჭოთა ელემენტებს, ამახინჯებდა პარტიის პოლიტიკას აფხაზეთის მშრომელთა საზარალოდ. კოლმეურნეობებში წარმოებისა და დისციპლინის დეზორგანიზაციის მიზნით, კონტრრევოლუციური ორგანიზაცია განზრახ არღვევდა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მოთხოვნას, უტოვებდა რა კოლმეურნეებს პირად სარგებლობაში საკარმიდამო მიწებს წესდებით დადგენილი ნორმის გადამეტებით.

ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობასთან ერთად, აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ზედაფენა ეწეოდა ტერორისტული აქტების მოწყობას პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ყოფილმა ხელმძღვანელმა ნ. ლაკობამ, მიიღო რა დავალება მოსკოვის პარალელური ტროცკისტული ცენტრისაგან — პიატაკოვის მეშვეობით და მემარჯვენე კონტრრევოლუციონერთა საქართველოს ცენტრისაგან—მგალობლიშვილის, ალნიაშვილის, და სხვების მეშვეობით, მოაწყო ტერორისტული ჯგუფები სოხუმსა და თბილისში, რომლებშიც შევიდნენ ამ საქმეზე ბრალდებულნი მ. ლაკობა, ვ. ლაკობა, დ. ჯერგენია, კ. ინალ-იპა, აგრეთვე დაპატიმრებულნი ა. მიქელაძე, ლ. კოუტი, ს. არნაუტი, ს. ფილია, პ. ბარციცი, მ. შლატერი, ე. დამენია, ვ. ამპარი და სხვები. 1933 წლის შემოდგომაზე ტერორისტულმა ჯგუფმა ა. მიქელაძის მეთაურობით, ნ. ლაკობას დავალებით, სცადა მოეხდინა ტერორისტული აქტი ხალხთა ბელადის ამხანაგი სტალინის წინააღმდეგ გაგრის რაიონის ბიჭვინთის მიდამოებში, იმ კატარღისათვის ტყვიის დაშენის გზით, რომლითაც ამხანაგი სტალინი მიდიოდა. 1931 წელს ტერორისტთა ჯგუფმა კ. ინალ-იპას, ვ. ლაკობას, დ. ჯერგენიას, პ. ბარციცის, ვ. ამპარის და ლ. კოუტის შემადგენლობით, ნ. ლაკობას დავალებით, ორჯერ სცადა მოეხდინა ტერორისტული აქტი ამხანაგი სტალინის და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგი ბერიას წინააღმდეგ გაგრის რაიონში, ხოლო 1936-37 წლებში აფხაზეთის კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ, ტერორისტული ჯგუფის წევრების: კ. ინალ-იპას, მ. შლატერის, პ. ბარციცის და ერმოლოზ დამენიას მეშვეობით რამდენჯერმე სცადა მოეხდინა ტერორისტული აქტი ამხ. ბერიას წინააღმდეგ გაგრასა და თბილისში. ამ საქმეზე ბრალდებული, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი მ. ჩალმაზი იყო კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ტერორისტული საქმიანობის კურსში და მონაწილეობას იღებდა ტერორისტული აქტების მოწყობაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

გარდა ამისა, აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები ეწეოდნენ ბოროტ ანტისაბჭოთა აგიტაციას კოლმეურნეებს შორის და ავრცელებდნენ ყოველგვარ პროვოკაციებს, მიმართულს საკოლმეურნეო მშენებლობისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის დისკრედიტაციისაკენ. ჰქმნიდა რა მშრომელებში ხელოვნურ უკმაყოფილებას და ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ სააჯანყებო ჯგუფებს, აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაც უფარდებდა სსრ კავშირზე კაპიტალისტური ქვეყნების თავდასხმის მომენტს. გარდა ამისა, აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი მ. ლაკობა 1919 წლიდან ჯაშუშური მიზნებით დაკავშირებული იყო ერთერთ უცხო სახელმწიფოს კონტრდაზვერვასთან, რომელსაც ნ. ლაკობა, ბრალდებულ კ. ინალ-იპასთან და მ. ლაკობასთან ერთად, აწვდიდა საიდუმლო ცნობებს აფხაზეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ანტისაბჭოთა ძალების გაერთიანების მიზნით, აფხაზეთის კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ კავშირი გააბა დაშნაკთა არალეგალურ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან, თავისი ორგანიზაციის წევრის ხეილომ ხაზიროლლის მეშვეობით, აგრეთვე აფხაზეთში არსებულ კონტრრევოლუციურ მენშევიკურ ორგანიზაციასთან ბრალდებულ სიმონ თურქიას სახით, რომელიც, დაბრუნდა რა ემიგრაციიდან აფხაზეთში მენშევიკური პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს სპეციალური დავალებებით, სოხუმში დაუკავშირდა კონტრრევოლუციურ არალეგალურ მენშევიკურ ორგანიზაციას, რომელიც კონტრრევოლუციურ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა. ზემოხსენებული ბრალდებული ს. თურქია იმავე დროს ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა მენშევიკების საზღვარგარეთული ბიუროს სასარგებლოდ.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულო თვითეული ბრალდებულის მიმართ დადასტურებულად სთვლის შემდეგს:

1. ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე ლადარიას—ბრალი ედება იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ჯაშუშურ-სააჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) იყო აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დივერსიულ-მავნებლური და სააჯანყებო საქმიანობის კურსში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ საქმიანობაში, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 19—$58^{2}$, $58^{7}$ და $58^{11}$ მუხლებით.

2. მიხეილ ისლამის-ძე ჩალმაზს—ბრალი ედება იმაში, რომ:

ა) იყო ერთერთი ყველაზე აქტიური მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საააჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას შეიარაღებული აჯანყების გზით და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან. ნ. ლაკობას სიკვდილის შემდეგ მ. ლაკობასთან ერთად მეთაურობდა და წარმართავდა აფხაზეთის ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის კონტრრევოლუციურ საქმიანობას.

ბ) მეთაურობდა მავნებლობას აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების, მეცხოველეობის განვითარების ჩაშლისა და კოლმეურნეობათა დანგრევის გზით;

გ) იყო აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ტერორისტული საქმიანობის კურსში, მონაწილეობას იღებდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოწყობაში, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 19—$58^{2}$, $58^{7}$, 19—$58^{8}$ და $58^{11}$ მუხლებით.

3. მიხეილ აპოლონის-ძე ლაკობას—ბრალი ედება იმაში, რომ:

ა) იყო ერთერთი ყველაზე აქტიური მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ—მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საააჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აფხაზეთში და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან. ნ. ლაკობას სიკვდილის შემდეგ მეთაურობდა და წარმართავდა აფხაზეთის ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის კონტრრევოლუციურ საქმიანობას.

ბ) იყო რა ერთერთი ხელმძღვანელი მავნებლობისა აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში, აწყობდა კოლმეურნეობებში კონტრრევოლუციურ ჯგუფებს, რომელთა საშუალებითაც ატარებდა ძირგამომთხრელ მუშაობას კოლმეურნეობათა დასაშლელად.

გ) შედიოდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ტერორისტული ჯგუფის შემადგენლობაში და მონაწილეობას იღებდა ტერორისტული აქტების მომზადებაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ;

დ) ახორციელებდა ჯაშუშურ-დაზვერვითი საქმიანობას სსრ კავშირში და დაკავშირებული იყო უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვასთან, ესე იგი, დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $58^{1}$-ა, 19—$58^{2}$, $58^{7}$, 19—$58^{8}$, და $58^{11}$ მუხლებით.

4. კონსტანტინე პლატონის-ძე ინალ-იპას ბრალი ედება იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საააჯანყებო ორგანიზაციის, რომელიც მიზნად ისა-

დასასრული იხ. მე-4 გვ.

 

საწარმოებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ჩატარებულ მიტინგებზე აფხაზეთის მშრომელები მოითხოვენ აფხაზეთის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრთა ალგვას დედამიწის პირისაგან.
სურათზე: (მარცხნივ): სოხუმის ქუჩებზე მშრომელები რადიოთი ისმენენ სასამართლოს დარბაზში მიმდინარე პროცესს; მარჯვნივ: მიტინგი სოხუმის საკონსერვო ქარხანაში.
ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყოფილება)

# განაჩენი

ხავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აფხაზეთში და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) აქტიურ მონაწილეობას იღებდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მავნებლურ საქმიანობაში, როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაშიც. გაგრის რაიონის სოფელ კალდახვარში მოაწყო კონტრრევოლუციური მავნებლური ჯგუფი,

გ) შედიოდა ტერორისტული ჯგუფის შემადგენლობაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ტერორისტული აქტების მომზადებაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინაალმდეგ;

დ) ახორციელებდა ჯაშუშურ დაზვერვითი საქმიანობას სსრ კავშირში და დაკავშირებული იყო უცხოეთის ერთერთ სახელმწიფოს დაზვერვასთან, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $58^{1}$-ა $19—58^{2}$, $58^{7}$, $19—58^{8}$, და $58^{11}$ მუხლებით.

5. ვასილ დიმიტრის-ძე **ლაკობას**—ბრალი ედება იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-სააჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) მონაწილეობას იღებდა ძირგამომთხრელ მუშაობაში აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის სააჯანყებო საქმიანობაში;

გ) შედიოდა ტერორისტული ჯგუფის შემადგენლობაში და მონაწილეობას იღებდა ტერორისტული აქტების მომზადებაში პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინაალმდეგ, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $19—58^{2}$, $19—58^{8}$, $58^{7}$, $58^{11}$ მუხლებით.

6. დიმიტრი იოსების-ძე **ჯერგენიას**—ბრალი ედება იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-სააჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) ატარებდა მავნებლურ-ძირგამომთხრელ მუშაობას აფხაზეთის სოფლის მეურნეობის დარგში. შედიოდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ტერორისტული ჯგუფის შემადგენლობაში და მონაწილეობას იღებდა ტერორისტული აქტების მომზადებაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინაალმდეგ, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $19—58^{2}$, $58^{7}$, $19—58^{8}$ და $58^{11}$ მუხლებით.

7. ანასტასი ფეოფილაქტის-ძე **ენგელოვს**—ბრალი ედება იმაში რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-სააჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) ატარებდა მავნებლობას აფხაზეთის სამრეწველო საქონლით და საშენი მასალით მომარაგების დარგში;

ბ) იყო კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ტერორისტული საქმიანობის კურსში, ესე იგი, დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $19—58^{2}$, $58^{7}$, $58^{11}$ მუხლებით.

8. სიმონ სტეფანეს-ძე **თურქიას**—ბრალი ედება იმაში, რომ:

ა) დაბრუნდა რა საზღვარგარეთიდან სსრ კავშირში, მენშევიკების საზღვარგარეთული ბიუროს სპეციალური დავალებით, შევიდა აფხაზეთის მენშევიკთა არალეგალურ ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისათვის ძირის გამოთხრას და საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აფხაზეთში;

ბ) მენშევიკების არალეგალური ორგანიზაციის დავალებით კავშირი გააბა აფხაზეთის კონტრრევოლუციურ, დივერსიულ-მავნებლურ, ტერორისტულ, ჯაშუშურ-სააჯანყებო ორგანიზაციასთან და მის ხელმძღვანელ ნ. ლაკობასთან, საერთო მოქმედებათა მიზნით, რომლებიც მიმართული იყო აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და სსრ კავშირისაგან აფხაზეთის ჩამოშორებისაკენ;

გ) ეწეოდა ჯაშუშობას მენშევიკების საზღვარგარეთული ბიუროს სასარგებლოდ, ესე იგი, დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $58^{1}$-ა, $19—58^{2}$, $58^{7}$, $58^{10}$, და $58^{11}$ მუხლებით.

9. პავლე არუთინის-ძე **სეისიანს**—ბრალი ედება იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტულ, ჯაშუშურ-სააჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აფხაზეთში და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

## დასასრული

ბ) ეწეოდა მავნებლურ მუშაობას სოფლის მეურნეობის დარგში იმ დავალებათა შესაბამისად, რომლებსაც ღებულობდა პირადად ყოფილი მიწსახკომის მიხეილ **ჩალმაზისაგან**, ე. ი. დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $19—58^{2}$, $58^{7}$ და $58^{11}$ მუხლებით.

10. მახაიდ ისლამის-ძე **ქიშმარიას**—ბრალი ედება იმაში, რომ:

ა) 1931 წელს იყო მონაწილე მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა აფხაზეთში;

ბ) 1936 წელს მიემხრო და გახდა მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საააჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აფხაზეთში და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

გ) ოჩემჩირის რაიონის სოფელ ჭილოუს კოლმეურნეობებში მოაწყო კონტრრევოლუციური ჯგუფები, რომელთა საშუალებითაც ეწეოდა მავნებლურ მუშაობას კოლმეურნეობებში, ესე იგი, დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $19—58^{2}$, $58^{7}$ და $58^{11}$ მუხლებით.

11. სეიდ ეჟიგის-ძე **ებჟნოუს**—ბრალი ედება იმაში, რომ:

ა) იყო აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საააჯანყებო ორგანიზაციის აქტიური მონაწილე;

ბ) მიხეილ **ლაკობას** დავალებით ამ ორგანიზაციაში აბამდა საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილო პირებს;

გ) ეწეოდა ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას კოლმეურნეობა „ხუდარაში“;

დ) კონტრრევოლუციური ორგანიზაციის, იმ პირთა საშუალებით, რომლებიც მან გადაიბირა, ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას კოლმეურნეთა შორის, მოუწოდებდა რა მათ შეიარაღებული აჯანყებისაკენ საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ,

ე) იყო ერთერთი აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი გუდაუთის კულაკური აჯანყებისა 1931 წელს, ესე იგი, დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $19—58^{2}$, $58^{7}$ და $58^{11}$ მუხლებით.

12. ხიგუ პეტრეს-ძე **ჩანბას**—ბრალი ედება იმაში, რომ:

ა) იყო აფხაზეთის კონტრრევოლუციურ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საააჯანყებო ორგანიზაციის მონაწილე;

ბ) მიხეილ **ლაკობას** დავალების განსახორციელებლად აფხაზეთის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში აბამდა წევრებს;

გ) ეწეოდა ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას ლიხნის სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „აშიცრაში“;

დ) ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას კოლმეურნეთა შორის, ესე იგი, დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $19—58^{2}$, $58^{7}$ და $58^{11}$ მუხლებით.

13. კემსის ჯირის-ძე **ახუბას**—ბრალი ედება იმაში, რომ:

ა) იყო აქტიური მონაწილე აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-საააჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას აფხაზეთში და აფხაზეთის ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან;

ბ) ეწეოდა მავნებლურ ძირგამომთხრელ მუშაობას ოჩემჩირის რაიონის სოფელ ჭილოუს კოლმეურნეობაში, აბამდა წევრებს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში;

გ) ეწეოდა აგიტაციას შეიარაღებული აჯანყებისათვის და საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის, ესე იგი, დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $19—58^{2}$, $58^{7}$ და $58^{11}$ მუხლებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულო სთვლის, რომ ზემოჩამოთვლილი დანაშაულობანი და ბოროტმოქმედებანი ბრალდებულების: 1. **ვ. კ. ლადარიასი**, 2. **მ. ი. ჩალმაზის**, 3. **მ. ა. ლაკობასი**, 4. **კ. პ. ინალ-იპასი**, 5. **დ. ი. ჯერგენიასი**, 6. **ვ. დ. ლაკობასი**, 7. **ა. ფ. ენგელოვისა**, 8. **ს. ს. თურქიასი**, 9. **პ. ა. სეისიანის**, 10. **ს. ე. ებჟნოუსი** მიმართული იყო აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და მშრომელი ხალხის წინაალმდეგ—აცხადებს მათ **ხალხის მტრებად** და, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 319, 320 მუხლებით და საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის $58^{1}$-ა, $58^{7}$, $19—58^{8}$, $58^{10}$, $58^{11}$ მუხლების საფუძველზე, აგრეთვე იხელმძღვანელა რა 1937 წლის 2 ოქტომბრის კანონით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა საკრებულომ **მიუსაჯა:**

1. ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე **ლადარიას**, 2. მიხეილ ისლამის-ძე **ჩალმაზს**, 3. მიხეილ აპოლონის-ძე **ლაკობას**, 4. კონსტანტინე პლატონის-ძე **ინალ-იპას**, 5. დიმიტრი იოსების-ძე **ჯერგენიას**, 6. ვასილ დიმიტრის-ძე **ლაკობას**, 7. ანასტასი ფეოფილაქტის-ძე **ენგელოვს**, 8. სიმონ სტეფანეს-ძე **თურქიას**, 9. პავლე არუთინის-ძე **სეისიანს**, 10. სეიდ ეჯიგის-ძე **ებჟნოუს**,

— სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, მათი პირადი ქონების კონფისკაციით.

ბრალდებულებს:

1. მახაიდ ისლამის-ძე **ქიშმარიას**—თავისუფლების აღკვეთა **ოცი წლის** ვადით, 1937 წლის 1 აგვისტოდან წინასწარ პატიმრობაში გატარებული დროის ჩათვლით.

2. ხიგუ პეტრეს-ძე **ჩანბას**—თავისუფლების აღკვეთა **თხუთმეტი წლით**, 1937 წლის 19 აგვისტოდან წინასწარ პატიმრობაში გატარებული დროის ჩათვლით.

3. კემსის ჯირის-ძე **ახუბას**—საპატიმროში მოთავსება **ათი წლის** ვადით, 1937 წლის 1 აგვისტოდან წინასწარ პატიმრობაში გატარებული დროის ჩათვლით.

საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 31 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, —მსჯავრდადებულთ მახაიდ ისლამის-ძე **ქიშმარიას**, ხიგუ პეტრეს-ძე **ჩანბას** და კემსის ჯირის-ძე **ახუბას** ჩამოერთვათ საარჩევნო უფლებები 5 წლით თვითეულს მათ მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ.

განაჩენი საბოლოოა, არ განსაჩივრდება და, სსრ კავშირის ცაკის 1934 წლის 1 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე, დაუყოვნებლივ უნდა იქნას მოყვანილი სისრულეში.

**აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს თავმჯდომარე—აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე—ტ. ტ. ანთია.**
**წევრები: ტ. ჩ. ბზანბა.**
**კ. ტ. ქოციავა.**

## ქრონიკა

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს სპეციალური საკრებულოს განაჩენი აფხაზეთის კონტრრევოლუციური, დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტულ-საააჯანყებო ჯაშუშური ორგანიზაციის მონაწილეთა— ვ. კ. ლადარიას, მ. ი. ჩალმაზის, მ ა. ლაკობას, ვ. დ. ლაკობას, კ. პ. ინალ-იპას, დ. ი. ჯერგენიას, ს. ს. თურქიას. პ. ა. სეისიანის, ს. ე. ებჟნოუს და ა. ფ. ენგელოვის მიმართ მოყვანილია სისრულეში. (საქინფ).

სარედაქციო კოლეგია

სილ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ., № 68

მთავლიტის რწმუნებული 60635